თავისუფალი გაზეთი „პოსტსკრიპტუმი“
P.S.
„ჩემო კალამო, ჩემო კარგო, რად გვინდა ტაში!“

სად შევინახოთ გასაღები?

„ექსპერიმენტების უფლება არ გვაქვს...“

იხილეთ მე-3 გვერდზე

№34 (722) 24-30 ნოემბერი, 2014 | გამოდის 1995 წლიდან | ფასი: 70 თეთრი | PSnews.ge

ეწვიეთ გაზეთ „P.S.“-ის განახლებულ საინფორმაციო ინტერნეტპორტალს www.psnews.ge-ს, ყოველდღიურად იკითხეთ ცხელ-ცხელი ამბები და იყავით ინფორმირებული!

სიტყვებით თამაში — პრემიების ნაცვლად, მაღალი სახელფასო დანამატები მინისტრებს!

მერე რა, თუ ქვეყანაში პენსია მხოლოდ 10 ლარით მოიმატებს, ისიც, ათი თვის შემდეგ...

იხილეთ მე-2 გვერდზე

გაიზარდა თუ არა კრიმინალი საქართველოში?

ქვეყანაში არსებული კრიმინალური მდგომარეობა განსჯის საგანი არაერთხელ გამხდარა და რომლის შესახებაც აზრთა სხვადასხვაობა არსებობს. ბოლო დროს მომხდარი დანაშაულების მიუხედავად, მთავრობა ამტკიცებს, რომ კრიმინალი შემცირდა, განცხადების გასამყარებლად სტატისტიკას აქვეყნებს. მთავრობის ინფორმაციის სანდოობის არ სჯერა ოპოზიციას. საზოგადოება კი გაძლიერებულ შიშის ფაქტორზე საუბრობს.
შსს-ს მიერ გამოქვეყნებული 10 თვის სტატისტიკა შემდეგნაირად გამოიყურება.
2014 წლის ოქტომბრის თვეში შსს-ს ტერიტორიული დანაყოფების საგამოძიებო ქვემდებარეობის მიხედვით რეგისტრირებულია 2283 დანაშაული, რომელთაგან გაიხსნა — 1555. დანაშაულის გახსნის პროცენტია 68,11%, ხოლო წინა წლის ანალოგიურ საანგარიშო პერიოდთან შედარებით, დანაშაულის პროცენტული კლებაა — 17,94%.
2014 წლის იანვარ-ოქტომბრის თვეებში შსს-ს ტერიტორიული დანაყოფების საგამოძიებო ქვემდებარეობის მიხედვით რეგისტრირებულია 22086 დანაშაული, რომელთაგან გაიხსნა — 14369. დანაშაულის გახსნის პროცენტია 65,06%. ხოლო წინა წლის ანალოგიურ საანგარიშო პერიოდთან შედარებით დანაშაულის პროცენტული კლებაა —16,67%.

გაგრძელება მე-3 გვერდზე

„ფლეშკა“ — რვეულის ნაცვლად!

ჩაანაცვლა თუ არა სახელმძღვანელო ინტერნეტმა?

იხილეთ მე-5 გვერდზე

ორგანიზაცია PIN-მა იმერეთში 4 სოციალური საწარმო დააფინანსა

სოციალური საწარმოს განვითარება ადგილობრივი პროდუქციის განვითარებას და მოსახლეობის დასაქმებას ნიშნავს

იხილეთ მე-4 გვერდზე

რა უნდა იცოდეს საბერძნეთსა და თურქეთში გამგზავრების მსურველმა?

იხილეთ მე-5 გვერდზე

თერჯოლისა და წყალტუბოს ტერიტორიები ქუთაისს შემოუერთდება

იხილეთ მე-2 გვერდზე

პრეზიდენტმა 121 მსჯავრდებული შეიწყალა

იხილეთ მე-2 გვერდზე

განათლების სისტემის გრძელვადიანი ხედვა შემუშავდა

იხილეთ მე-5 გვერდზე

კენეტ იალოვიცი:

„ნატო-ში საქართველოს გაწევრიანებას, როგორც ჩანს, ჯერ კიდევ დიდი დრო დასჭირდება“

იხილეთ მე-6 გვერდზე

ქიმერიონი
qimerioni.ge
წიგნების მაღაზია
ქუთაისი, ჭავჭავაძის 50°;
ტელ.: 790 927 927.
წიგნები
შენ გელოდება!
ქუთაისი, ჭავჭავაძის 50°, ჭავჭავაძის უნივერმაღი
წიგნების მაღაზია „ქიმერიონი“.
ტელ.: (790) 927 927.

PSnews.ge
ISSN 1987-7056
9 771987 705004

ჰოროსკოპი — გვ. 7 | სკანვორდი — გვ.7 | კროსვორდი — გვ. 7

თერჯოლისა და წყალტუბოს ტერიტორიები ქუთაისს შემოუერთდება

პრემიერ-მინისტრის მიერ 19 ნოემბერს ქუთაისის შემოვლითი გზის 32 კმ-იანი მაგისტრალის გახსნას იმერეთის გუბერნატორი ზაზა მეფარიშვილი ადგილობრივ ხელისუფლებასთან ერთად ესწრებოდა.

მეფარიშვილმა მაგისტრალის მნიშვნელობასა და ქუთაისის განვითარების სამომავლო გეგმაზე ისაუბრა.

„ავტომაგისტრალის გავლამ ქუთაისის ჩიხში მოქცევა რომ არ გამოიწვიოს, აქტიურად განიხილება პროექტი ქალაქის ურბანული განვითარების შესახებ – საავტომობილო გზის ორივე მხარეს, წყალტუბოსა და თერჯოლის მუნიციპალიტეტების სასოფლო და არასასოფლო ტერიტორიების, ქუთაისის საზღვრებში შემოერთება. ამ ინიციატივის უზრუნველყოფა ქუთაისის ეკონომიკური განვითარების გარანტია! — განაცხადა იმერეთის გუბერნატორმა ზაზა მეფარიშვილმა.

ნესტან ჩაგელიშვილი
psnews.ge

ჭახათაში მოკლული ტაქსის მძღოლის მკვლელი დააკავეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1981 წელს დაბადებული ზაზა ჯ. განზრახ მკვლელობის ბრალდებით დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებულმა მიმდინარე წლის 7 ნოემბერს ქუთაისში, ჭახათის დასახლებაში, ურთიერთშელაპარაკებისას, ტაქსის მძღოლს, 1954 წელს დაბადებულ ივანე რ-ს ბლაგვი საგნით სხეულზე სხვადასხვა სახის დაზიანებები მიაყენა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. ივანე რ. მიყენებული დაზიანებების შედეგად ადგილზე გარდაიცვალა. პოლიციამ ცხელდარი მომხდარიდან რამდენიმე საათში ავტომობილში აღმოაჩინა.

სამართალდამცველებმა ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო მოქმედებების შედეგად ზაზა ჯ. ქუთაისში დააკავეს. დაკავებული აღიარებს ჩადენილ დანაშაულს.

გამოძიება განზრახ მკვლელობის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 108-ე მუხლით).

police.ge

სიტყვებით თამაში — პრემიების ნაცვლად, მაღალი სახელფასო დანამატები მინისტრებს!

მერე რა, თუ ქვეყანაში პენსია მხოლოდ 10 ლარით მოიმატებს, ისიც, ათი თვის შემდეგ...

გასულ კვირას საქართველოს მოსახლეობა მინისტრების ხელფასებზე ალაპარაკდა. მედიაში გავრცელდა ინფორმაცია, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის, თამარ სანიკიძის ყოველთვიური ხელფასი 12 500 ლარს შეადგენს, ხოლო საქართველოს ფინანსთა მინისტრის, ნოდარ ხადურის შემოსავალი 21 000 ათასი ლარია.

2014 წლის იანვარი-აგვისტო. მინისტრების სახელფასო დანამატები და პრემია

შესაბამისად, როგორც თამარ სანიკიძემ, ისე ნოდარ ხადურმა განცხადებები გააკეთეს და უარყვეს მათი შემოსავლების ზემოთაღნიშნული რაოდენობა.

თამარ სანიკიძის თქმით, გავრცელებული ინფორმაცია, რომ მისი ხელფასი 12 500 ათას ლარს შეადგენს, სიცრუეა და მედიასაშუალებებმა მსგავსი ინფორმაციების მიმართ მეტი პასუხისმგებლობა უნდა გამოიჩინონ.

განათლების მინისტრი განმარტავს, რომ მინისტრის ყოველთვიური თანამდებობრივი სარგო 3540 ლარს შეადგენს (საშემოსავლო გადასახადის გათვალისწინებით). დანამატის სახით კი, 2710 ლარს იღებს (საშემოსავლო გადასახადის გათვალისწინებით), რაც ყველა მინისტრის სტანდარტულ ანაზღაურებას წარმოადგენს. საგულისხმოა, რომ თამარ სანიკიძე მინისტრის თანამდებობაზე ზუსტად წელიწადი და 4 თვის წინ დაინიშნა და ამ პერიოდის განმავლობაში პრემიის სახით, ჯამურად 6 250 ლარი აქვს აღებული.

განცხადებაში მოყვანილი ციფრების მეშვეობით ირკვევა, რომ მინისტრის დადგენილი შემოსავალი თვეში 6 250 ლარია მაშინ, როცა საშუალოდ, პედაგოგი თვეში მასზე თითქმის 20-ჯერ ნაკლები ხელფასით კმაყოფილდება.

რაც შეეხება საქართველოს ფინანსთა მინისტრს, ნოდარ ხადურის განმარტებით, მან 21 000 ლარის ოდენობის დანამატი 10 თვის განმავლობაში მიიღო და ეს არ იყო ერთჯერადი დანამატი.

ათ თვეში 21 000 ლარი, ალბათ, ძალიან ცოტაა...

როგორც ნოდარ ხადურმა ჟურნალისტებს განუცხადა, აქ საუბარია 10 თვეზე. ასევე დასძინა, რომ მინისტრების შრომის ანაზღაურება შემცირდა მას შემდეგ, რაც ისინი მოვიდნენ ხელისუფლებაში. „პრემია არ ამიღია არცერთი თეთრი. ეს არის დანამატი, რომელიც განსაზღვრულია პრემიერ-მინისტრის ბრძანებით და თქვენ იცით, რომ მას შემდეგ, რაც ჩვენ მოვედით ხელისუფლებაში, მინისტრების შრომის ანაზღაურება შემცირდა. ჯერ კიდევ ბატონმა ბიძინა ივანიშვილმა შეამცირა მინისტრების შრომის ანაზღაურება, შემდეგ, რაც ბატონი ირაკლი ღარიბაშვილია პრემიერ-მინისტრი, ის კიდევ შემცირდა. ჩვენი ანაზღაურების შესახებ ყველამ ყველაფერი იცის უკვე საქართველოში," - განაცხადა ნოდარ ხადურმა. მისივე თქმით, ვინმემ რომ თქვას, რომ 21000 აიღო ერთჯერადად, შეიძლება ეს დიდ ციფრად მოეჩვენოს, მაგრამ ეს არის მთელი წლის განმავლობაში მიღებული დანამატი. „ნაციონალური მოძრაობის" ერთ-ერთმა ლიდერმა, ირმა ნადირაშვილმა განაცხადა, რომ მინისტრებმა და მოადგილეებმა 2014 წლის 8 თვის განმავლობაში 3 მილიონზე მეტი ლარი მიიღეს, საიდანაც თითქმის ნახევარი პრემიებსა და დანამატებს შეადგენს. მისივე ინფორმაციით, ფინანსთა მინისტრმა, ნოდარ ხადურმა 21680 ლარი მიიღო.

გამოდის, რომ განათლების მინისტრის, მისივე გამოთვლებით, დადგენილი ხელფასიდან გამომდინარე, პედაგოგებზე 20-ჯერ მეტი ანაზღაურება აქვს, ფინანსთა მინისტრმა კი 10 თვეში 21 000 ათასი ლარი აიღო.

მინისტრების ხელფასებმა საზოგადოებაში აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია:

ზაირა თოდუა: „მასწავლებელს და მინისტრს ერთნაირი ხელფასი უნდა ქონდეს? ეს უსამართლობაა."

ლაურა დოლიძე: „თბილისის ზოგიერთ პრესტიჟულ სამედიცინო დაწესებულებაში ოჯახის ექიმებს 100-ლარიან ხელფასს უხდიან, ხოლო უფროსი მენეჯერები 50-ჯერ მეტს იღებენ. ჩვენი მინისტრი იმ პირობებში, როცა ევროპასა და აშშ-ში კანონი არსებობს, რომ ექიმის მინიმალური ხელფასი უნდა იყოს 1500 ევრო, ან სხვა თანხა, ცრემლიანი გვიხსნის, რომ არ შეუძლია სააკაშვილის მიერ დაჩუქებულ-დაყიდულ დაწესებულებებისთვის კანონის შემოღება!"

კუკური ოჩიგავა: „საერთოდ, საათში 8 დოლარზე ნაკლები ანაზღაურება კანონით ისჯება და რა ხელფასებია დღეს ფირმებში? მონებს არ ამუშავებენ."

დონარა მანჯავიძე: „მასწავლებლებს მოუმატონ ხელფასები მაგ არაადამიანებმა და მერე იმათზე ცოტა მეტი დაინიშნონ თვითონ."

ირინა კაპანაძე: „მინისტრია ხალხნო, რა გჭირთ. უნდა ჰქონდეს მაღალი ხელფასი, აბა რა..."

ხათუნა ლომაშვილი: „20 წლის სტაჟი და სკოლის სიყვარული გულდასაწყვეტია. ჩემი სურვილით წამოვედი სკოლიდან, რადგან 200 ლარი არ მიღირდა შვილების მიტოვებად. რამეს მაინც აკეთებდეს ქალბატონი მინისტრი, ამხელა ხელფასის საფასურს."

დავით სალია: „ინფორმაცია სანიკიძის 12 500-ლარიან შემოსავალზე მიაწოდა თავად სამინისტრომ 29 ოქტომბერს, საკოორდინაციო ცენტრს, როგორც საჯარო ინფორმაცია. ეს არი ხელფასის დანამატი და პრემია ერთად ივნისის თვის."

ერეკლე მაჭავარიანი: „აბა, როგორ გინდათ. 20-კაპიკიანი ხელფასით მინისტრები ასობით მილიონი ბიუჯეტის განმკარგავი. თან უნდა იყოს წესიერი, განათლებული, არაკორუმპირებული. სირცხვილია ამაზე ლაპარაკი. კარგი ყველაფერი ძვირი ღირს. მე ვფიქრობ, ეგ ხელფასიც ცოტაა."

პენსიონერი: შვილო, ერთი თხოვნა მაქვს ნოდარისთან: არ მინდა 100 ლარი პენსია და მომცენ 200 ლარიანი საპენსიო დანამატი! ჩვენ რა ხალხი არ ვართ? რატომ გვაყრიან ნაცარს თვალებში, რატომ გვეთამაშებიან სიტყვებით? აქაოდა, პრემიას არ ვიღებთ და ეს ხელფასის დანამატიაო. რა მნიშვნელობა აქვს, სახელს რას დაარქმევს? მაგათ რომ მაგდენი დანამატები არ აიღონ და ხალხსაც რომ დაუმატონ სარჩო, ამაზე რატომ არ ფიქრობენ?

ჟანა ჯანელიძე

მთავარი რედაქტორი:
ნატო გუბელაძე

დიზაინი: ირმა ბახუტაშვილი

ოპერატორი და კორექტორი:
ლალი კუპრაშვილი

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. არ გამოხატავს არცერთი პოლიტიკური პარტიის ინტერესებს. ავტორთა მოსაზრება შეიძლება, არ ემთხვეოდეს რედაქციისას.

R — ნიშნით აღნიშნულია სტატია, რომელიც განთავსებულია სარეკლამო ფართზე

გამომცემელი — შპს „P.S." („პოსტსკრიპტუმი").
ქუთაისის სასამართლოს რეგისტრაცია
№5/ბ-1401

გაზეთ „P.S."-ის კლასიფიკაციის კოდი:
UDC (უაკ) 3+32] (479.22) (054)
პ - 658
P - 86

მისამართი: ქუთაისი. რუსთაველის გამზირი №37ª. პრესის სახლი.

- (032) 2 422 470, (0 431) 24-45-46.
- psnews27@gmail.com
- www.psnews.ge

განათლების სისტემის განვითარების გრძელვადიანი ხედვა შემუშავდა

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ განათლების სისტემის განვითარების გრძელვადიანი ხედვა შეიმუშავა. მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით განხორციელდა არსებული სისტემის სრული კვლევა და შემუშავდა რეკომენდაციები, რომელიც გამოყენებული იქნა სექტორის შემდგომი განვითარების სტრატეგიული მიმართულებების განსაზღვრისთვის. ანალიტიკური დოკუმენტი მოიცავს განათლებისა და მეცნიერების ყველა დონეს — სკოლამდელ, ზოგად და უმაღლეს განათლებასა და მეცნიერების განვითარებას. ასევე, გათვალისწინებულია ისეთი ძირითადი პრინციპები, როგორიცაა ხარისხიანი და ხელმისაწვდომი განათლება და უწყვეტი განათლების პრინციპი. ყოველივე ეს შეესაბამება როგორც ბოლონიის პროცესის მოთხოვნებს, ასევე, ევროპარლამენტისა და ევროსაბჭოს რეკომენდაციებს.

ძირითადი სტრატეგიული მიმართულებები საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა თამარ სანიკიძემ ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების წარმომადგენლებს, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და საკანონმდებლო ორგანოს წარმომადგენლებს კონფერენციაზე წარუდგინა. კონფერენცია საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა გახსნა. დოკუმენტის შემუშავებაში მონაწილეობდნენ ის არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც განათლების მიმართულებით მუშაობენ და ჩართულები არიან კვლევით საქმიანობაში.

ხანგრძლივი კვლევების შედეგად შექმნილი დოკუმენტი მსოფლიოს მოწინავე ქვეყნების გამოცდილებასთანაა შეჯერებული. მასში გაწერილია განათლების სფეროში არსებული გამოწვევები და გასატარებელი საკვანძო ცვლილებები. იგი წარმოადგენს ძირითადი მიმართულებების გამაერთიანებელ დოკუმენტს, რომლის სამოქმედო გეგმად გარდაქმნაზე თემატური ჯგუფები უწყვეტად იმუშავებენ. საქართველოს ხელისუფლება კი აღნიშნულს მომავალი წლების ბიუჯეტის დაგეგმარებისას გაითვალისწინებს.

„განათლებისა და მეცნიერების სისტემის განვითარების ძირითადი მიმართულებების დოკუმენტი „საქართველოს სოციალური და ეკონომიკური განვითარების სტრატეგია 2020"-ით გათვალისწინებულ პრიორიტეტებს — დასაქმებას, სამუშაო ადგილების შექმნასა და ინოვაციებზე დაფუძნებული ეკონომიკის ფორმირების ხელშეწყობას ემყარება," — განაცხადა განათლების და მეცნიერების მინისტრმა, **თამარ სანიკიძემ**. „ამ მიმართულებით შესაბამისი კადრების მომზადება და განათლების სისტემაში კვლევითი პოტენციალის გაძლიერება უმნიშვნელოვანესია, რაშიც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო აქტიურ მონაწილეობას მიიღებს."

„ბოლო ათი წლის მანძილზე საქართველოში განათლების სფეროში განხორციელებული რეფორმები უნიკალურია რეგიონისთვის, ამ რეფორმებმა აღნიშნული სექტორის გამჭირვალეობის და ეფექტიანობის გაუმჯობესება უზრუნველყო. ამის მიუხედავად, მსოფლიო ბანკის მიერ ცოტა ხნის წინ ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ საქართველოში განათლების ყველა დონეზე მთავარ გამოწვევად ხარისხის გაუმჯობესება რჩება. კერძოდ, მნიშვნელოვანი იქნება ქართველი მოსწავლეების სწავლის შედეგების გაუმჯობესება ისეთ ძირითად სფეროებში, როგორებიცაა წიგნიერება, მათემატიკა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებები, განაცხადა მსოფლიო ბანკის რეგიონულმა დირექტორმა სამხრეთ კავკასიაში," — **ჰენრი კერალიმ**. „საქართველოს კონკურენტიანობა გლობალურ ეკონომიკაში მნიშვნელოვნად იქნება დამოკიდებული მის მიერ მაღალკვალიფიცირებული ადამიანური რესურსების მომზადების უნარზე, რაც შესაძლებელი იქნება მხოლოდ ხარისხიანი განათლების უზრუნველყოფის გზით. ამ სფეროში წინსვლა გრძელვადიან და სტაბილურ ძალისხმევას მოითხოვს, რაზეც იმ ქვეყნების გამოცდილებაც მეტყველებს, რომლებსაც ამჟამად წარმატებული საგანმანათლებლო სისტემები გააჩნიათ. საქართველოს აქვს შესაძლებლობა გაიზიაროს იმ ქვეყნების გამოცდილება, რომლებმაც შთამბეჭდავი წინსვლა აჩვენეს."

პრეზენტაციის შემდეგ, კონკრეტული თემების საჯარო განხილვები გაიმართება. შემდეგ კი, დოკუმენტს, სამოქმედო გეგმის სახით, საქართველოს მთავრობა დაამტკიცებს.

სად შევინახოთ გასაღები?

ვის უნდა ჰქონდეს „გასაღები?!" — ამ კითხვაზე პოლიტიკოსებსა და საზოგადოებას შორის საკმაოდ ცხარე დისკუსია მიმდინარეობს. რა თქმა უნდა, აქ საუბარი არა ჩვეულებრივ გასაღებზე, არამედ ფარული მოსმენისათვის განკუთვნილ „გასაღებზეა" საუბარი. ფარული მოსმენების საკითხი ჯერ კიდევ არ არის მოწესრიგებული. კანონპროექტზე პრეზიდენტის მიერ ვეტოს დადებამ ხელისუფლება იძულებული გახადა კვლავ დაეწყო დისკუსია და ახალ-ახალი ინიციატივების შექმნა ამ საკითხზე.

ე.წ. გასაღების თაობაზე არსებულ დისკუსიას საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი ფარულ მიყურადებასთან დაკავშირებით მიესალმება. მარგველაშვილი იმედოვნებს, რომ კანონი მალე მომზადდება და მას პოზიციის ჩამოყალიბება ბოლო წუთებში არ მოუწევს.

„ვფიქრობ, აქ ორი ძალიან მნიშვნელოვანი თემაა განსასაზღვრი. პირველი — კანონიერ მიყურადებას უნდა ახორციელებდნენ ამ საქმის პროფესიონალები. მეორე — ნებისმიერი სქემა, რომელიც განიხილება, უნდა გამორიცხავდეს სასამართლოს ნებართვის გარეშე ნებისმიერ მიყურადებას. იმედი მაქვს, ეს დისკუსია კანონის ფორმას მალე მიიღებს და მე არ ვიქნები იგივე ფორსმაჟორული არჩევანის წინ დაყენებული, როგორც წინა შემთხვევაში ვიყავი. მადლობა მინდა ვუთხრა პარლამენტის თავმჯდომარეს, რომელმაც წინა განხილვის პროცესში ამის იმედი მომცა, რომ ჩემი პოზიციის ჩამოყალიბება საათებსა თუ წუთებში არ მქონდეს გადასაწყვეტი," — განაცხადა გიორგი მარგველაშვილმა.

ფარული მოსმენების მოდელები

დღევანდელი მდგომარეობით, ფარულ მოსმენებთან დაკავშირებით პარლამენტში ორი კანონპროექტია ინიცირებული. ერთი — დეპუტატების: ეკა ბესელიას, ირაკლი სესიაშვილისა და გედევან ფოფხაძის კანონპროექტი, რომელიც ორგასაღებიან სისტემას ითვალისწინებს, სადაც ერთი გასაღები შსს, მეორე კი პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორს უნდა ჰქონდეს. მეორე პროექტი არის ვახტანგ ხმალაძის საკანონმდებლო ინიციატივა და ის ე.წ. გასაღების გადაცემას კომუნიკაციების მარეგულირებელი კომისიისთვის გადაცემას ითვალისწინებს. პრეზიდენტის მიერ კანონპროექტზე ვეტოს დადების შემდეგ, დეპუტატებმა „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ" კანონში ცვლილებები 1 დეკემბრამდე უნდა შეიტანონ.

ფარული მიყურადების კანონპროექტზე მომუშავე ჯგუფის წევრი არასამთავრობო ორგანიზაციებმა საკანონმდებლო ორგანოს ამ საკითხზე საკუთარი საკანონმდებლო ინიციატივით ორი კვირის წინ მიმართეს. არასამთავრობოების პროექტი ე.წ. ორგასაღებიანი სისტემის ამოქმედებას ითვალისწინებს, რომლის თანახმად, სამართალდამცავ ორგანოებს ფარული მოსმენის განხორციელება ელექტრონული კომუნიკაციის კომპანიის (ანუ ოპერატორის) და სასამართლოს დაშვების შედეგად შეეძლებათ. კამპანია „ეს შენ გეხება, ისევ გვისმენენ"-ის წევრი არასამთავრობო ორგანიზაციები დაუშვებლად მიიჩნევენ თუნდაც ერთი გასაღების შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელში დატოვებას.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველოს" აღმასრულებელმა დირექტორი ეკა გიგაურის აზრით, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებისთვის ოპტიმალურია მათ მიერვე შემუშავებული მოდელი, როდესაც გასაღები პროვაიდერის და სასამართლოს ხელშია. ისინი არ ეთანხმებიან ბესელია-ფოფხაძე-სესიაშვილის ვარიანტს, ხოლო ხმალაძის მოდელის განხილვას შესაძლებლად მიიჩნევენ.

„ბესელიას მოდელი არასამთავრობეობისთვის მიუღებელია, რადგან შინაგან საქმეთა სამინისტროს ფარული მოსმენის ბერკეტი რჩება. ამასთან თუკი მეორე „გასაღები" პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორს გადაეცემა და მას ჩავრთავთ პროცესში, ქვეყანაში აღარავინ დარჩება, ვინც ჩვენს პერსონალურ მონაცემებს გააკონტროლებს და მონიტორინგს გაუწევს. ეს არალოგიკური და მიუღებელია. რაც შეეხება ხმალაძის ვარიანტს, კარგია, რომ ე.წ. გასაღები შსს-დან გადის. თუმცა ამ შემთხვევაში ალბათ, უნდა დავფიქრდეთ თუ რა ზეგავლენას მოახდენს მარეგულირებელ კომისიაზე ეს პროცესი. შიში გვაქვს, რომ ეს დამოუკიდებელი ორგანო შესაძლოა, გავლენის ქვეშ მოექცეს. თავიდან ალბათ, მასზე გარკვეული „ზეწოლა" იქნება შსს-ს მხრიდან, რადგან გარდამავალი პერიოდი მტკივნეულია. თუმცა მაინც ეს მოდელი საინტერესოდ მიგვაჩნია და მასზე მსჯელობა შესაძლებელია," — განაცხადა გიგაურმა. მისივე თქმით, პარლამენტში გარკვეული ჯგუფები „სამწუხაროდ, ცდილობენ, შინაგან საქმეთა სამინისტროს არ აწყენინონ."

ყოფილი მოსამართლე, ადვოკატი მერაბ ტურავა მიიჩნევს, რომ უნდა შეიქმნას ისეთი მოდელი, რომელიც ერთი მხრივ, დაიცავს მოქალაქეთა პირად თავისუფლებას, მაგრამ იმავდროულად სახელმწიფოს უსაფრთხოება უგულებელყოფილი არ იქნება. ყოფილი მოსამართლე თვლის, რომ შს სამინისტროსთან ერთად, მეორე გასაღების პერსონალური დაცვის ინსპექტორისთვის გადაცემა პრობლემის გადაწყვეტისთვის ერთდაერთი სწორი გზაა.

„ერთი გასაღებით შს სამინიტრო დაიცავს ეროვნულ უსაფრთხოებას, ხოლო მეორე გასაღები, რომელიც იქნება პერსონალური დაცვის ინსპექტორის ხელში, გარანტი იქნება იმისა, რომ სამართალდამცავი უწყებების მხრიდან არ იქნება ეს გასაღები გამოყენებული არასათანადოდ. შესაბამისად, პერსონალის დაცვის ინსპექტიორი იქნება იმის გარანტი, რომ მოქალაქის პირადი ცხოვრება იქნება ხელშეუხებელი," — განაცხადა **მერაბ ტურავამ.**

გაგრძელება **მე-4 გვერდზე**

გაიზარდა თუ არა კრიმინალი საქართველოში?

შსს სამინისტრო სტატისტიკას აქვეყნებს

პირველი გვერდიდან

ბოლო გახმაურებული ფაქტი, რაც ქუთაისში მოხდა, 60 წლის ტაქსის მძღოლის მკვლელობაა.

მიმდინარე წლის 7 ნოემბერს ქუთაისში ჭახათის დასახლებაში ურთიერთშელაპარაკებისას, ტაქსის მძღოლს, 1954 წელს დაბადებულ ივანე რ-ს ბლაგვი საგნით სხეულზე სხვადასხვა სახის დაზიანებები მიაყენა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. ივანე რ. მიყენებული დაზიანებების შედეგად ადგილზე გარდაიცვალა. პოლიციამ ცხედარი მომხდარიდან რამდენიმე საათში ავტომობილში აღმოაჩინა.

მომხდართან დაკავშირებით დაიწყო გამოძიება. შინაგან საქმეთა სამინისტროს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1981 წელს დაბადებული ზაზა ჯ. განზრახ მკვლელობის ბრალდებით რამდენიმე დღეში დააკავეს.

შეიცვალა თუ არა კრიმინალური მდგომარეობა და როგორ აფასებენ არსებულ ვითარებას ქუთაისელები, გაზეთმა „**P.S.**"-მა მცირე გამოკითხვა ჩაატარა.

ია აბშილავა, სტუდენტი: „არ ვიცი, შინაგან საქმეთა სამინისტრო რა სტატისტიკას აქვეყნებს, მაგრამ ფაქტია, რომ საზოგადოებაში შიშის ფაქტორი გაჩნდა. რაც უმიზეზოდ არ ხდება. ადამიანები ქუჩაში გვიან გამოსვლას ერიდებიან. რა თქმა უნდა, კრიმინალი გაზრდილია. ალბათ, არ აწყობთ ზუსტი მონაცემების გამოქვეყნება და მაქსიმალურად ცდილობენ ფაქტების დამალვას. დროული და სწორი ჩარევაა საჭირო, რომ მდგომარეობა არ გართულდეს. მარტო მაღაზიის ძარცვის რამდენი ფაქტი დაფიქსირდა? იმედია, შესაბამისი სტრუქტურები ვითარების კონტროლს შეძლებენ."

ლელა ჩანქსელიანი, ეკონომისტი: „არ ვთვლი, რომ კრიმინალი გაიზარდა. ყოველ შემთხვევაში, არაფერი ისეთი და იმაზე მეტი არ ხდება, რაც აქამდე არ ხდებოდა. მეტ-ნაკლებად ყოველთვის იყო კრიმინალი და ძნელია მასთან გამკლავება. რა თქმა უნდა, შეუძლებელია ამდენი დაუსაქმებელი ადამიანიდან ყველამ პატიოსნად იცხოვროს. რადგან მათ არსებობა სჭირდებათ, არაა სამუშაო, ვერ საქმდება ხალხი და ქუჩაში გამოდის. ეს არ არის მხოლოდ ამ ადამიანების პრობლემა და დანაშაული. ეს ერთგვარი ჯაჭვია, რაც ქმნის საერთო სურათს. თუმცა, კიდევ ერთხელ გავიმეორებ, რომ კრიმინალური მდგომარეობა არ შეცვლილა, მე ისვე ისე გავდივარ ქუჩაში, როგორც ადრე."

თამრიკო კაპანაძე, დიასახლისი: „პირადად მე, გვიან გარეთ გამოსვლის ძალიან მეშინია. ჩვენს უბანში კვლავ გაჩნდა ბირჟები და ე.წ. „ძველი ბიჭები" ყოველდღე საქმის გარჩევით არიან დაკავებული. ყოველ საღამოს ისმის გინება და ჩხუბის ხმა. ამ ადამიანებისაც მესმის, უსაქმურად არიან, სახლშიც ვერ ჩერდებიან და ისევ ქუჩაში გამოდიან, აგრესიულები არიან. სხვა საშუალება რომ არ აქვთ, ისევ იპარავენ."

ნოდარი, ექიმი: „ექიმი ვარ და ციხეზეც ვმუშაობ. სამწუხაროდ, მდგომარეობა საგრძნობლად გაუარესდა. ადრე, თუ ექიმს ადამიანურად ექცეოდნენ, ახლა სიტყვიერ და ფიზიკურ შეურაცხყოფას აყენებენ. ჩვენ შეჩვეული ვართ, რომ ციხეში მოხვედრილი ადამიანი სტრესშია, შეიძლება ფსიქიკური პრობლემებიც შეექმნას, ამიტომ მაქსიმალურად ვცდილობთ მათ გაგებას და დახმარებას. ვიცით, რომ დამნაშავეებიც არიან, რაც გარკვეულ რისკებს შეიცავს, მაგრამ არ მესმის, როდესაც ამბობენ, რომ „მათი დრო მოვიდა", რას ნიშნავს „მათი დრო", ან რატომ მოვიდა? და ეს მხოლოდ ციხის პრობლემა არ არის, მსგავს ფაქტებს ქუჩაშიც არაერთხელ შეხვდებით და გაიგონებთ. სამწუხაროდ, მდგომარეობა მართლაც გართულდა."

ზაზა ცარციძე, მოქალაქე: „ალბათ, არ შეცვლილა. ვთვლი, რომ ისევ ისეთი მდგომარეობაა, რაც იყო. რაღაც სახის დანაშაულები ყოველთვის ხდებოდა და მოხდება კიდეც. მგონი უფრო ტელევიზიების მიერ ფაქტის არასწორად გაჩუქება ხდება პანიკის მიზეზი. თუმცა არ ვამბობ, რომ არ უნდა გაშუქდეს. რაც შეეხება ბირჟებს და საქმის გარჩევებს, ქუთაისში და განსაკუთრებით ჩემს უბანში, ყოველთვის იყო და სიახლე არაა. თუმცა საგანგაშო ვითარება ნამდვილად არ არის."

ნესტან ჩაგელიშვილი

ნინო ბურჯანაძე: „არ დაისაჯნენ ის ადამიანები..."

„როდესაც ქვეყანაში არ არის სისტემა სწორად ჩამოყალიბებული და როდესაც არ არსებობს ნდობა და პოლიტიკური ნება, რომ უკანონო მოსმენები არ იყოს, არავითარი მნიშვნელობა არ აქვს კანონში რა ჩაიწერება," — ამის შესახებ „გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობის" ლიდერმა, ნინო ბურჯანაძემ ჟურნალისტებს ფარული მოსმენების შესახებ კანონპროექტთან დაკავშირებით განუცხადა.

„როდესაც ქვეყანაში არ დაისაჯნენ ის ადამიანები, რომლებიც უკანონო მოსმენებს ახორციელებდნენ, რა აზრი აქვს საერთოდ ამ საკითხის განხილვას, თუ ვის ხელში იქნება ე.წ. გასაღები," — განაცხადა ბურჯანაძემ.

მისივე თქმით, მთავარია, ადამიანებს ჰქონდეთ იმის განცდა, რომ, თუ ისინი უკანონოდ ვინმეს მოუსმენენ, ამისთვის აუცილებლად დაისჯებიან. „წინააღმდეგ შემთხვევაში, რაც არ უნდა დავარქვათ გასაღები, თუ ბოქლომი და ვის ხელშიც არ უნდა იყოს ის, ამას არავითარი მნიშვნელობა არ ექნება," — განაცხადა ნინო ბურჯანაძემ.

პრეზიდენტმა 121 მსჯავრდებული შეიწყალა

საქართველოს პრეზიდენტმა, გიორგი მარგველაშვილმა გიორგობის დღესასწაულისთვის 121 მსჯავრდებული შეიწყალა. როგორც შეწყალების კომისიის თავმჯდომარემ, ზვიად ქორიძემ პრესკონფერენციაზე განაცხადა, აქედან 93 საპატიმრო დაწესებულებას 21 ნოემბერს დატოვებს. მისივე თქმით, 28 მსჯავრდებულს სასჯელი შეუმსუბუქდება.

„121 მსჯავრდებულიდან 3 არის ქალბატონი და 3 მსჯავრდებული არის არასრულწლოვანი. სულ კომისიამ, რომელიც 14 და 15 ნოემბერს მუშაობდა, 752 მსჯავრდებულის საქმე განხილა და მათგან 350 არსებითად განიხილა. სხვა საქმეები არ აკმაყოფილებდა არსებითი განხილვისთვის საკმარის კრიტერიუმებს," — განაცხადა ქორიძემ.

შეწყალება შეეხო განზრახ მკვლელობის მუხლზე ერთ მსჯავრდებულსაც და მას სასჯელი გაუნახევრდა. ზვიად ქორიძის ინფორმაციით, შეწყალების აქტი ნარკოტიკული სასჯელისთვის მსჯავრდებულებსაც შეეხოთ, თუმცა გასაღების ბრალდებით მსჯავრდებულები შეწყალებულთა შორის არ არიან.

მადლობა

ქ. ქუთაისის მერს, ბატონ **შოთა მურღულიას**, საკრებულოს თავმჯდომარეს, ბატონ **დავით დვალს**, ჯანმრთელობის დაცვის, სოციალურ საკითხთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა სამსახურის უფროსს, ბატონ **ზურაბ მარგველაშვილს**, ნეფროლოგიისა და ჰემოდიალიზის ცენტრის ადმინისტრაციის სახელით გიხდით დიდ მადლობას!

პროგრამა, რომელიც თქვენ განახორციელეთ თირკმლის ჩანაცვლებითი თერაპიის მქონე პაციენტთათვის, ძალიან წარმატებული და გამართლებული აღმოჩნდა, რადგანაც ამ პროგრამის ფარგლებში პაციენტებს შეუძლიათ ჩაიტაროონ მინიმალური და სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი თერაპიის კურსი, ამავდროულად, გამოიყენონ თანხა მიზანმიმართულად მედიკამენტოზური თერაპიისათვის. ჩვენთვის, მკურნალი ექიმებისათვის ძალზედ მნიშვნელოვანია, რომ პაციენტს შეუძლია დანიშნული მედიკამენტის შეძენა და მკურნალობის ჩატარება. ამით ვინარჩუნებთ პაციენტების სტაბილურ მდგომარეობას და მათი მდგომარეობის გაუმჯობესებაზე ვზრუნავთ.

ამდენად, აღნიშნული პროექტი ძალიან გამართლებული, პერსპექტიული და ღვთისნიერი ნაბიჯია თქვენი მხრიდან, რისთვისაც გულწრფელ მადლობას მოგახსენებთ მკურნალი ექიმებისა და პაციენტების სახელით.

ცენტრის ხელმძღვანელი
ლელა უშხვანი,
პაციენტთა სახელით ბეგლარ კახიძე

სად შევინახოთ გასაღები?

მე-3 გვერდიდან

ექსპერტი **მამუკა არეშიძე** ე.წ. მოსმენებთან დაკავშირებით ორგასაღებიანი სისტემის შემოღებას მიესალმება. მისი თქმით, არსებული საფრთხეების გათვალისწინებით შსს ამ საკითხზე პასუხისმგებელი ოფიციალურად უნდა იყოს — ერთი გასაღები ღიად უნდა ჰქონდეს შსს-ს. რაც შეეხება მეორე გასაღებს, ვის ექნება მეორე გასაღები, ეს საზოგადოებრივი კონსესუსის თემა უნდა გახდეს. „მე წინააღმდეგი არ ვარ პერსონალური სისტემების ინსპექტორის არსებობის, ვთვლი, რომ გარკვეული ხიბლი და ინტერესი ამ ორგანიზაციას აქვს," — აცხადებს არეშიძე. მისივე განცხადებით, კერძო ოპერატორების ხელში არსებობს იმის საფრთხე, რომ შეიქმნას ხელოვნურად ასეთი ოპერატორი და ეს ყველაფერი კვლავ უსაფრთხოების სისტემებმა გააკონტროლონ. ამასთან, ექსპერტის აზრით, საქართველოში ერთგასაღებიანი სისტემის დაშვება შეუძლებელია.

„ექსპერიმენტების უფლება არ გვაქვს..."

ე.წ. „გასაღების" თემაზე გაჩაღებულ დისკუსიას საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილიც გამოეხმაურა. პრემიერი დაუშვებლად მიიჩნევს, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრომ ფარულ მოსმენებზე წვდომა საერთოდ დაკარგოს და მიიჩნევს, რომ ეს შსს-ს, როგორც სახელმწიფო ინსტიტუტს, დაასუსტებს.

„ექსპერიმენტების უფლება არ გვაქვს. ჩვენ გავაკეთებთ იმას, რაც არის აპრობირებული სხვა ევროპულ, თანამედროვე, ცივილიზებულ სახელმწიფოებში. მე არ ვიცი, რატომ ვართ ჩვენ, საქართველო იმაზე უფრო დემოკრატიული, ვიდრე არის საფრანგეთი, ან პოლონეთი, ან ჩეხეთი, ისრაელი ან ამერიკა. დამისახელოს ვინმემ, ვინც არის ამ პროექტის ავტორი, ჭკუათმყოფელი, გამოვიდეს და თქვას, აიღოს პასუხისმგებლობა მაშინ სახელმწიფოს წინაშე. მათი მთავარი მიზანი ეს არის — შინაგან საქმეთა სამინისტროს პარალიზება, ისინი ებრძვიან სახელმწიფო ინსტიტუტებს," — განაცხადა პრემიერმა. პრემიერს ეთანხმება ერთ-ერთი კანონპროექტის ავტორი, ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე ეკა ბესელია.

„სახელმწიფო და შსს, როგორც ინსტიტუცია იყოს პასუხისმგებლობის მატარებელი, რომ მან უსაფრთხოებაზე იზრუნოს, რაც ადამიანის უსაფრთხოების შემადგენელი ნაწილია და აკონტროლოს ეს ე.წ. საკონტროლო გასაღები პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორმა, რომელიც არის სწორედ მაკონტროლებელი ინსტიტუტი. რომელიც არ არის პოლიტიკურ ძალებთან გაიგივებული. მას გაცილებით მაღალი ლეგიტიმაცია აქვს, ვიდრე მარეგულირებელ კომისიას და არა მგონია, რომ საქართველოში ჩვენ უნდა ჩავატაროთ ექსპერიმენტები და შემოვიღოთ ის მოდელი, რომელიც არსად, არცერთ ქვეყანაში არ მუშაობს," — აცხადებს **ბესელია.**

ვისთვის არის მიმზიდველი ეს „გასაღები?!"

უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს კოტე კუბლაშვილს არასამთავრობო ორგანიზაციების ინიციატივასთან დაკავშირებით, რომელიც ერთ გასაღებს სასამართლოს აკუთვნებს, ხოლო მეორეს — კერძო ოპერატორს, კითხვის ნიშნები გააჩნია.

„ყველამ კარგად იცის, რომ მოსამართლე არის პროცესის მთავარი მონაწილე, იგი გასცემს ბრძანებას, ამ ბრძანების გარეშე არ შეიძლება მოსმენის განხორციელება ან თვალყურის დევნება. ამიტომ, ჯერჯერობით, ცოტა რთულად მესახება, რომ პროცესის მთავარი მონაწილე, რომელიც ბრძანებას გასცემს თავად პროცესში, შემდეგ იყოს თავისივე ბრძანების განმახორციელებელი," — განაცხადა **კუბლაშვილმა.**

რაც შეეხება კერძო ოპერატორი კომპანიებისათვის ერთი გასაღების გადაცემას, როგორც აღმოჩნდა, თავად აღნიშნული კომპანიებისათვის ეს მოდელი არც თუ მიმზიდველია. როგორც სააგენტო „პირWელთან" საუბარში „სილქნეტის" ინფორმაციული მართვის დირექტორი **გიორგი ზღულაძე** აცხადებს, ფინანსური და ადამიანური რესურსების მობილიზებაა საჭირო იმისთვის, რომ ინფორმაცია სათანადოდ იყოს დაცული.

„თუ დაგვავალდებულებენ, რომ ეს გასაღები იყოს ჩვენს ხელში, იქნება. ჩვენ ამ ეტაპზე მაგისთვის მზად არ ვართ, რომ მით უმეტეს, 1 დეკემბრამდე ეს გავაკეთოთ. ეს არის დაკავშირებული ძალიან დიდ ფინანსურ და ადამიანურ რესურსებთან... ძალიან რთულია, რომ ეს ინფორმაცია უსაფრთხოდ შეინახო, ინფორმაციის გაჟონვის საფრთხეა," — განაცხადა ზღულაძემ.

ფარული მოსმენების ე.წ. გასაღების განკარგვის საკითხს ეხმაურება „ახალგაზრდა ფინანსისტთა და ბიზნესმენთა ასოციაცია — აფბა." ორგანიზაციაში აცხადებენ, რომ ფარული მოსმენების ე.წ. „გასაღების" ოპერატორი კომპანიებისთვის გადაცემა, მიუღებელია როგორც სახელმწიფოს ინტერესების დაცვის, ისე ბიზნესსტრუქტურების ინტერესების თვალსაზრისით.

„ამდენად, **„აფბა"** მიუღებლად მიიჩნევს არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ შემოთავაზებულ ინიციატივას, რომ ე.წ. გასაღები მობილურ ოპერატორებს გადაეცეთ. ეს არ შედის არც თავად კომპანიების ინტერესებში და სახელმწიფოს უსაფრთხოების საკითხსაც რისკის ქვეშ აყენებს.

ახალგაზრდა ფინანსისტების შეფასებით, სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საკითხების კერძო კომპანიებზე მინდობა დაუშვებელია. ბიზნესსაც და სახელმწიფოსაც გააჩნიათ საკუთარი ინტერესები და საქმიანობის სფეროები და არ უნდა ხდებოდეს ამ სფეროების გადაფარვა, სახელმწიფო მნიშვნელობის საკითხების ბიზნესზე გადაკისრება და პირიქით," — ნათქვამია ორგანიზაციის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

ცოტნე გაბაძაძე

ორგანიზაცია PIN-მა იმერეთში 4 სოციალური საწარმო დააფინანსა

სოციალური საწარმოს განვითარება ადგილობრივი პროდუქციის განვითარებას და მოსახლეობის დასაქმებას ნიშნავს

ჩეხური არაკომერციული ორგანიზაცია People in need (PIN) საქართველოში 2005 წლიდან ფუნქციონირებს. ორგანიზაციის მიერ განხორციელებული პროექტები, ძირითადად, განათლებას, სოფლის მეურნეობის ხელშეწყობას და სოციალურად მოწყვლადი ჯგუფების დახმარებასა და საზოგადოებაში ინტეგრაციას ემსახურება.

ორგანიზაცია PIN ჩეხეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს (ჩეხური განვითარების სააგენტოს) თანადგომით 2012 წლის მაისიდან 2014 წლის დეკემბრის ჩათვლით ახორციელებს სოციალური მხარდაჭერის პროექტს. სწორედ აღნიშნული სოციალური პროგრამის ფარგლებში მოხდა იმერეთის რამდენიმე რაიონის ჩართვა. ტყიბულის, ქუთაისისა და წყალტუბოს მუნიციპალიტეტებში 4 სოციალური საწარმო დაფინანსდა.

პროექტის განხორციელების პერიოდში ორგანიზაციამ ოთხი სოციალური საწარმოს დასაფინანსებლად 92 334 ლარი გაიღო. ამ თანხის ფარგლებში საგრანტო კონკურსში გამარჯვებულ სოციალურ საწარმოებს მათი საქმიანობისათვის აუცილებელი ინვენტარი და მოწყობილობები გადაეცათ.

სოციალური პროექტის მიზანი არა მხოლოდ საწარმოების დაფინანსება, არამედ პროექტის ფარგლებში ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმეაა. დაფინანსების ერთ-ერთ მნიშვნელოვან მოთხოვნას სოციალურად დაუცველთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დასაქმება წარმოადგენდა.

„პროექტის ფარგლებში ორგანიზაციამ საგრანტო კონკურსის საფუძველზე ოთხი სოციალური პასუხისმგებლობის მქონე საწარმოს ჩამოყალიბებას და განვითარებას მიაღწია (გამარჯვებულებს გადაეცათ მათი საქმიანობისათვის საჭირო ინვენტარი). აღნიშნულ საწარმოებს, გარდა თავიანთი ბიზნესის განვითარების სურვილისა, ასევე სოციალური პასუხისმგებლობები გააჩნიათ. ორგანიზაციის მიერ დაფინანსებული საწარმოების მეპატრონეები ვალდებულებას იღებენ, დაასაქმონ სოციალურად დაუცველი მოქალაქეები და მათ საარსებო მინიმუმის გაზრდის შესაძლებლობა მისცენ," – განაცხადა პროექტის მენეჯერმა **ნათია ახალაიამ.**

ნათია პროექტის მიერ დაფინანსებული სოციალური საწარმოების შესახებ დეტალურად საუბრობს და აღნიშნავს, რომ სოციალური საწარმოები, რომლებიც იმერეთის ოთხ მუნიციპალიტეტში გაიხსნა, მოსახლეობას რეალიზების საშუალებას აძლევს.

სოციალური საწარმო „ოკრიბის მზე". საწარმო ტყიბულის მუნიციპალიტეტში 7 თვის წინ გაიხსნა. სადაც ამ დროისთვის 11 ადგილობრივია დასაქმებული, მათგან 8 სოციალური სტატუსის მქონეა. „ოკრიბის მზეში" დღეში 1000-დან 1500-მდე პურის რეალიზება ხდება. „ოკრიბის მზის" ფარგლებში პატარა საცხობიც გაიხსნა, რომელშიც ქართული ლავაში ცხვება. საწარმოს მფლობელი მომავალში მარკეტისა და კაფეს დამატებას გეგმავს. ასევე მუშაობენ საკონდიტრო მაღაზიის გახსნაზე. დაფინანსების ფარგლებში საწარმოს დამფუძნებლებს პურის საცხობის ფუნქციონირებისთვის საჭირო ინვენტარი და მოწყობილობები გადაეცათ.

სოციალური საწარმო „ფარშევანგი" — „გაიფერადეთ ღირსშესანიშნავი დღეები, შეცვალეთ სხვისი ცხოვრება"

სოციალურ საწარმო „ფარშევანგს" სატესტო რეჟიმში ეკონომიკური საქმიანობების 9-თვიანი გამოცდილება გააჩნია. 2014 წლის ივლისამდე ის არასამთავრობო ორგანიზაცია: „საერთაშორისო განათლების და განვითარების აკადემიის" ქოლგის ქვეშ ფუნქციონირებდა. საწარმო საინიციატივო ჯგუფის სახით 2013 წლის სექტემბერში ჩამოყალიბდა. თავდაპირველად, ათი სხვადასხვა დიზაინის მისალოცი ბარათი შეიქმნა, რომელთა რეალიზაცია მხოლოდ ქ. ქუთაისში მდებარე საკანცელარიო მაღაზიებში ხდებოდა.

დღეისთვის, საწარმო თვეში 2000 ცალ მისალოცს ბარათს აწარმოებს, ხოლო პროდუქციის დისტრიბუცია თბილისში, ქუთაისში, ბათუმსა და რუსთავში მოქმედი 40 მაღაზიის საშუალებით ხორციელდება.

სოციალური საწარმო „ფარშევანგის" მიზანი ასევე სოციალურად დაუცველი და შშმ პირების დასაქმების ხელშეწყობაა. საწარმოში მინიმუმ 12 პირი, ხოლო მენეჯმენტისა და რეალიზაციის პროცესში — 7 ადამიანი დასაქმდება.

პირველსავე წელს პარალელურ რეჟიმში 2 ახალი პროდუქციის: ქვილინგის ტექნიკით დამზადებული ბლოკნოტებისა და ალბომების წარმოების დანერგვაა დაგეგმილი.

საწარმო ქ. ქუთაისში, წერეთლის მე-5 შეს. №6-ში ფუნქციონირებს.

სოციალური საწარმო „ელისაბედი" წყალტუბოს რაიონის სოფ. გუმბრაში ფუნქციონირებს.

სოციალური საწარმოს დამფუძნებელია შპს „გოლეთიანი და კომპანია", რომელსაც თავის მხრივ, მარკეტინგსა და პირდაპირ გაყიდვებში საკმაოდ დიდი გამოცდილება აქვს, ასევე გამოცდილება აქვს ქალთა ჯგუფებთან მუშაობის, მათი ორგანიზების, დატრენინგებისა და მართვის სფეროში.

სოციალური საწარმოს მენეჯმენტს განახორციელებს 4 ადამიანი. პირველი წლის განმავლობაში პროექტში 10-15-მდე სოციალურად დაუცველი და მარტოხელა ქალი დასაქმდება. სტაჟირების კურსს 50-დან 80-მდე ქალი გაივლის.

პროექტი მარტოხელა, შშმ და სოციალურად დაუცველი ქალების ჩართვას და ქალთა ხელითნაკეთობების საწარმოში და მონაწილეთა ოჯახებში დამატებითი შემოსავლების თავმოყრას პროფესიული უნარების ამაღლებას, გადამზადებას, სწავლებას (ქსოვა, ქარგვა, კერვა, საწარმოო მარკეტინგი), ახალი პროფესიის ათვისებას ითვალისწინებს.

„ელისაბედი" პროდუქციას გამოუშვებს ეტიკეტით: „წარმოებულია საქართველოს სოფლებში" (Made in Villages of Georgia) და თან დაურთავს პროდუქციის ავტორების სოციალურ ისტორიებს. საწარმო პროდუქციას გამოუშვებს საფირმო ნიშნით „ელისსაბედი" (Elissabed).

სოციალური საწარმო „აგროდილერი" წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ გეგუთში ფუნქციონირებს.

შპს „აგროდილერი" 2010 წლის 22 ივნისს დაფუძნდა. „აგროდილერის" დამფუძნებლები ფონდი „აბხაზინტერკონტი" და მისი თანამშრომლები არიან, რომელთაც გარკვეული ხვედრითი წილი საწარმოს საწესდებო კაპიტალში გროვდება. „აგროდილერს" გააჩნია მიწის ნაკვეთი, სათანადო აღჭურვილობა სასათბურე მეურნეობა, სადაც სოფლის მეურნეობის პროდუქტები მოჰყავთ.

„აგროდილერის" მიერ წარმოდგენილი პროექტი 1250 კვადრატული მეტრის სათბურის აგება და თანამედროვე ტექნოლოგიების (წვეთოვანი ტექნოლოგიები) გამოყენებით მარწყვის დარგვასა და მოყვანას ითვალისწინებს. პროდუქციას თან დაერთვება სპეციალური წარწერა და სპეციალისტის შესაბამისი დასკვნა. საწარმოში 2 იგპ ოჯახიც დასაქმდება.

***

PIN-ის მიერ საწარმოების ხელშეწყობა, მხოლოდ საგრანტო პირობებით გათვალისწინებული მოწყობილობების გადაცემით არ შემოიფარგლება.

ორგანიზაცია მის მიერ დაფინანსებული სოციალური საწარმოების თანამშრომლებისთვის სხვადასხვა სახის სემინარებს მართავს. 2014 წლის ოქტომბერში თბილისში მათთვის ორდღიანი სასწავლო ვიზიტი მოეწყო. მონაწილეები აღმოსავლეთ საქართველოში მოქმედი სოციალური საწარმოების მუშაობას გაეცნენ.

თემაზე — „სოციალური და ეკონომიკური შედეგების დაგეგმვა და შეფასება" ტრენინგს საქართველოს სტრატეგიული კვლევისა და განვითარების ცენტრის ექსპერტები უძღვებოდნენ.

ჩატარებულ ტრენინგებს ერთ-ერთი სოციალური საწარმოს დამფუძნებელი ელისო გოლეთიანი აფასებს.

„სხვადასხვა სოციალური საწარმოების საქმიანობის გაცნობა და საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის ექპერტების მიერ ჩატარებული ერთდღიანი ტრენინგი საინტერესო და დროული იყო საწარმო „ელისაბედისთვის". ტრენინგი დაგვეხმარა იდეების დალაგებაში, სამეწარმეო და საზოგადოებრივი აქტივობების ერთმანეთისგან გამიჯვნაში." — განაცხადა სოციალური საწარმო „ ელისაბედის" წარმომადგენელმა **ელისო გოლეთიანმა.**

ორგანიზაციაში აღნიშნავენ, რომ პროექტები მომავალშიც გაგრძელდება, რომლის ფარგლებშიც საწარმოები დაფინანსდება, რაც თავის თავში ადამიანის დასაქმებას, მათთვის პროფესიის შესწავლას და გადამზადებას გულისხმობს.

ნესტან ჩაგელიშვილი

„ფლეშკა" — რვეულის ნაცვლად!

ჩაანაცვლა თუ არა სახელმძღვანელო ინტერნეტმა?

სულ რაღაც 5-6 წლის წინაც კი მოზარდები ერთმანეთისთვის საუკეთესო საჩუქრად კარგ წიგნს მიიჩნევდნენ. მშობლები ცდილობდნენ, საბავშო ბიბლიოთეკა გაემდიდრებინათ და საკუთარი შვილისთვის კიდევ უფრო შეეყვარებინათ კითხვა.

რა ხდება დღეს? ახლა აღარც წიგნია საუკეთესო საჩუქარი და არც მშობლები იღწვიან შვილების წიგნიერი განათლებისათვის. დღევანდელი მოზარდები დიდი ქართველი მწერლების შემოქმედებას იმდენად იცნობენ, რამდენადაც სკოლაში გაეცნობიან, ანუ სავალდებულო სასკოლო პროგრამის ფარგლებში, რაც ინტერნეტში მოძიებას ნიშნავს.

დღეს ბავშვმა შეიყვარა კომპიუტერი და შეიძლება ითქვას, რომ ბოლომდე გადაეშვა ამ ვირტუალურ სამყაროში. ბევრი მოზარდი ამბობს, რომ მისთვის საჭირო ცოდნას კომპიუტერიდანაც იღებს. თუმცა, მას რომც არ უნდოდეს ეკრანიდან ამოიწეროს ესა თუ ის დავალება, ამას სახელმძღვანელოები მაინც ავალდებულებს. საკამათო აღარაა, რომ ახალგაზრდა თაობას კითხვა არ უყვარს და არ უნდა. ისინი თანამედროვე ტექნიკურ საშუალებებს ანიჭებენ უპირატესობას და ამბობენ, რომ ასე გაცილებით სწრაფად, მარტივად და მოხერხებულად ღებულობენ საჭირო ინფორმაციას. წიგნის მაღაზიებსა და ბიბლიოთეკებს კი იშვიათად აკითხავენ.

ახალგაზრდებისაგან განსხვავებით, უფროსი ასაკის მოქალაქეები მიიჩნევენ, რომ კომპიუტერი წიგნს ვერ შეცვლის და კითხვა, პირველ რიგში, ლოგიკური აზროვნებისა და მეტყველების განვითარებისთვისაა აუცილებელი.

საჯარო სკოლების პედაგოგები ამბობენ, რომ გასულ წლებთან შედარებით წიგნიერების დონე გაცილებით დაბალია.

„აღრე სრულიდ განსხვავებული თაობა იყო. სახელმძღვანელოებში საკმარისი ინფორმაცია თუ არ ეწერა, ჩვენ თვითონ ვაძლევდით ბავშვებს მიმართულებას, თუ სად, რომელ სახელმძღვანელოში უნდა მოეძიებინათ ესა თუ ის ინფორმაცია. ვეძებდით გარჩევებს, ვაძლევდით ესეებს, ყოველი გაკვეთილი რაღაც ახალი აღმოჩენით სრულდებოდა, ვმართავდით დისკუსიებს და ახალგაზრდების გონება თანდათანობით ვითარდებოდა კამათსა და მსჯელობებში. ბავშვები ერთმანეთს უმტკიცებდნენ საკუთარი ნააზრევის, მათ მიერ მოპოვებული ინფორმაციის სიზუსტეს და შედეგიც აშკარა იყო: მათი აზროვნება ძალიან აქტიური გახდა, მაგრამ ძალზედ სამწუხაროა, რომ ეს ფაქტი წარსულში დარჩა ტკბილ მოგონებად, ვინაიდან დღეს, აღარავის აინტერესებს წიგნებში „ქექვა" და ყველა ინტერნეტს არის მიჩერებული. ეს არ არის ახალი თაობის დანაშაული, ეს სახელმწიფოს დანაშაულია, რადგან ის ავალდებულებს პედაგოგს და შემდეგ მოსწავლეს, რომ დავალება „ფლეშკაზე" ჩაწერილი მოუტანოს მასწავლებელს და არა რვეულზე საკუთარი ხელით და აზრით დაწერილი. დაკოპირებული დავალებები არც ჩემთვის, პედაგოგისთვის არ არის საინტერესო და ვერ ვაფასებ ობიექტურად," — ამბობს აბაშის რაიონის ერთ-ერთ სკოლაში მოღვაწე **ირინა** მასწავლებელი.

და მართლაც, პედაგოგებს თითქმის ყველა სახელმძღვანელო ავალდებულებს მოსწავლეებს მათ წიგნებში არასრულად მითითებული ინფორმაციის ამა თუ იმ ვებგვერდზე მოძიებას. შესაბამისად, ბავშვები ავალდებულნი არიან, ნაცვლად სახელმძღვანელოებში ძიებისა, ინტერნეტის საშუალებით გაიგონ მეტი მათი გაკვეთილის, თუ დავალების შესახებ.

გადავხედეთ თანამედროვე სახელმძღვანელოებს და ვნახეთ, რომ თითქმის ყველა გაკვეთილის ბოლოს მითითებულია ვებგვერდი, სადაც მათი გაკვეთილის გაშლილი ვერსია ეგულებათ მოსწავლეებს, პედაგოგები კი დავალებების ე.წ. „ფლეშკით" მიტანას სთხოვენ მოსწავლეებს. ვებგვერდებსაც შევავლეთ თვალი და იქ აბსოლუტურად ამომწურავი ინფორმაციების ლაბირინთში აღმოვჩნდით. ერთი შეხედვით ზღვა მასალის წყაროა, მაგრამ როცა დავალებების შესრულებაზე მიდგება საქმე, სერიოზულ პრობლემას ვაწყდებით. არსებობს ე.წ. ბლოგები, სადაც ნებისმიერ თემაზე დაწერილი ესეები არის განთავსებული. მთავარია, „დაგუგლოთ" საჭირო სიტყვა და რამდენიმე ათეული ვერსია გადაიშლება ჩვენს თვალწინ. მოსწავლეც უცვლელად გადმოიტანს მის ჩიპზე, ან თუნდაც რვეულში და დავალებაც მზად არის.

ეს პრობლემა განსაკუთრებით მწვავედ დგას სოფლის სკოლებში, სადაც ნაკლებად მიუწვდებათ ხელი ინტერნეტზე და შესაბამისად, ახალგაზრდებს უძნელდებათ ამა თუ იმ დავალების შესრულება. რაც შეეხება ქალაქის სკოლებს, თუ ბავშვს ოჯახში არ აქვს კომპიუტერი, ინტერნეტ კაფეებში შეუძლია შესვლა და დავალების „ფლეშკაზე" გადაწერა.

გარდა იმისა, რომ არსებობს კომუნიკაციის პრობლემა, სოფლის სკოლაში მოღვაწე პედაგოგები იმითაც არიან უკმაყოფილონი, რომ ბავშვები დავალებას პირატულ გვერდებზე ნახულობენ და იქედან იწერენ, რის გამოც თითქმის ყველას სხვის მიერ ნააზრები აქვს გადაწერილი რვეულში.

ჩემი რესპონდენტი ანანო აბაშის ერთ-ერთ რაიონში ცხოვრობს. იგი მეხუთე კლასშია და საკმაოდ მოწადინებულია სწავლაზე, გამორჩეული მოსწავლეა კლასში. მიუხედავად იმისა, რომ ის საკმაოდ კარგად არის გათვითცნობიერებული თანამედროვე ტექნიკაში, ძალიან კარგად იცის კომპიუტერი, მაინც არ მოსწონს, როცა მასწავლებელი დავალებების ინტერნეტში მოძიებას ავალებს და ცდილობს, სკოლის ბიბლიოთეკას მიმართოს, თუმცა, საბოლოოდ, მაინც იძულებული ხდება, რომ ისევ კომპიუტერს დაუბრუნდეს, ვინაიდან განსხვავება მის მიერ ბიბლიოთეკაში მოძიებულ ინფორმაციასა და მისი თანაკლასელების ინტერნეტში ნანახ დავალებებს შორის ძალზედ დიდია. ინტერნეტი მეტ რესურსს იძლევა, რაც შეიძლება გაშლილად წარმოაჩინონ სხვადასხვა საკითხები, მაგრამ სხვაობა ხარისხშიც არის, მჯერად ანანოს და მისნაირების უპირატესობით: მისი მასალა ინდივიდუალურია და ანანოს შეუძლია უპასუხოს პედაგოგის მიერ დასმულ ყველა შეკითხვას დავალების შესრულებასთან დაკავშირებით, განსხვავებით სხვებისგან, რომლებსაც მასიურად ერთნაირი თემები მიაქვთ ხოლმე სკოლაში, ისიც სხვისი ნააზრევი და ხშირ შემთხვევაში, არც კი წაუკითხავთ დაკოპირებული მასალა.

ვესაუბრეთ ანანოს ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგს, ნანა მასწავლებლის თქმით, სკოლაში აღარ არის ძველებური „ცოდნის ზეიმი".

„სრულიად განსხვავებული თაობა მოვიდა, მაგრამ არ გვაქვს უფლება ის ყოველივე, რაც დღეს ხდება, თაობას დავაბრალოთ. სახელმძღვანელო მე, მასწავლებელს არ უნდა მიმითითებდეს, რომ ინტერნეტი დავიხმარო გაკვეთილის ახსნაში. ამით მეც მაკნინებს, როგორც პედაგოგს და მოსწავლესაც არასრულფასოვან განათლებას აძლევს. 5 წლის წინ მიხაროდა გაკვეთილზე შესვლა. რამდენჯერ გაგვიცდენია ახალი გაკვეთილის ახსნა ძველზე მსჯელობასა და გარჩევაში. ვკამათობდით, ვეჯიბრებოდით. დღეს კი რა ხდება? რაც წიგნში წერია, ძალიან მწირი ინფორმაციაა, სამაგიეროდ ვებგვერდების მთელი ჩამონათვალია მითითებული. დავალებას კი ბავშვები „დაგუგლავენ" და იქიდან დაკოპირებულს მომიტანენ, ისიც „ფლეშკაზე" ჩაწერილს, მე კი არ მაქვს იმის უფლება, რომ მათ სხვა სახით მოვთხოვო დავალებების შესრულება. თვითონ მოსწავლეები მომიბრუნდებიან და მპასუხობენ: „მასწ! წიგნში წერია, რომ „ფლეშკაზე" ჩაწერეთო."

ამ თემასთან დაკავშირებით ვესაუბრეთ ქუთაისის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსს **ბადრი ვაშაკიძეს.**

მისი თქმით, ინტერნეტი ამოუწურავი ინფორმაციის მატარებელია და აზრი, რომ „ფლეშკამ" ჩაანაცვლა წიგნიერება, არასწორია.

„ის, რომ სახელმძღვანელოებში მითითებულია დამატებითი ინფორმაციის წყარო, არ არის ცუდი და ვფიქრობ, არ აყენებს ზიანს მოსწავლეების გონებას. ყველა სახელმძღვანელოს სახელმწიფო უშვებს სკოლებში და შესაბამისად, თითოეული გრიფირებული წიგნი აკმაყოფილებს სახელმწიფო სტანდარტებს. მასწავლებლები უნდა ამოწმებდნენ მოსწავლეების მიერ მიტანილ დავალებებს, თუნდაც „ფლეშკაზე" ჩაწერილს და სხვაობასაც უნდა ნახულობდეს. თავად უნდა აკონტროლოს, რომ ყველამ ერთნაირი ნამუშვარი არ მიუტანოს. რაც შეეხება ინფორმაციის მოძიებას, მოზარდს ინდივიდუალურად უნდა შეეძლოს მისთვის საჭირო ინფორმაციის პოვნა. თუ შინაგანი მოტივაცია აქვს მოზარდს სწავლისთვის, მას თანამედროვე კომუნიკაციის საშუალებები ვერ შეუშლის ხელს ცოდნის დაგროვებაში," — განაცხადა ბადრი ვაშაკიძემ.

აშკარაა, რომ ინტერნეტმა მოიცვა სრულიად სამყარო და მათ შორის საგანმანათლებლო სფეროშიც აქტიურად დაიმკვირდა ადგილი. ბევრი ფიქრობს, რომ ცუდ გავლენას ახდენს მოზარდების გონებაზე, ზოგიც პირიქით, მიესალმება ახალ ნოვაციებს. მაგრამ ფაქტია, რომ ეს საკითხი დავის საგანია.

ბოლო დროს წიგნის წაკითხვა ინტერნეტითაც გახდა შესაძლებელი. რამდენად კითხულობენ, ვერ გეტყვით, მაგრამ დარწმუნებით შემიძლია ვთქვა, რომ ანანოს თაობის ბევრი მოზარდი ენთუზიაზმით ეძებს ინტერნეტში სხვის მიერ დაწერილ აზრებს და საკუთარს უწოდებს. კარგია, რომ ზოგს თვითდაჯერებას ჰმატებს სხვისი აზრების გათავისება, მაგრამ რა ქნას ანანომ და მისმა მშობელმა? რომლებიც წიგნების თაობიდან მოდიან და რთული გასაგებია, თუ რატომ უნდა ჩაწეროს მისმა შვილმა დავალება მეხსიერების ბარათზე და არ დაწეროს რვეულში? ამას დღეს ჩამორჩენილობა ჰქვია. „თაობათა ომი" კი, ამ კუთხითაც ღვივდება...

ჟანა ჯანელიძე

რა უნდა იცოდეს საბერძნეთსა და თურქეთში გამგზავრების მსურველმა?

ქუთაისის განათლების განვითარების და დასაქმების ცენტრის ორგანიზებით, ქუთაისის ახალგაზრდულ ცენტრში დოკუმენტური ფილმის ჩვენება გაიმართა: „რა უნდა იცოდეს საბერძნეთში და თურქეთში წასვლის მსურველებმა".

ფილმი პროექტის — „ინდივიდუალური დახმარება ქართველ მიგრანტებს" ფარგლებში მომზადდა და მიზნად ისახავდა საზღვარგარეთ წასვლის მსურველთა ინფორმირებას. შეხვედრის ორგანიზატორების განცხადებით, მიგრანტებს არ აქვთ ინფორმაცია ქვეყნის კულტურისა და ამ ქვეყანაში მისი უფლებების შესახებ. მიგრანტებისათვის ნომერ პირველ საფრთხედ შრომითი ტრეფიკინგი გამოიკვეთა.

ჩვენებას დაესწრნენ სტუდენტები, პედაგოგები, დაინტერესებული პირები.

ფილმი შეიცავდა ინფორმაციას, რომელიც აუცილებლად უნდა იცოდეს თურქეთში ან საბერძნეთში წასვლის მსურველმა საქართველოს მოქალაქემ, იმისათვის, რომ არ გახდეს ტრეფიკინგის მსხვერპლი და მომზადებული შეხვდეს უცხო გარემოს.

„ფილმში ასახულია ის პრაქტიკული რჩევები, რომელიც საქართველოდან ჩასულ მიგრანტს გაუადვილებს ახალ ქვეყანაში და ახალ გარემოში ადაპტაციას. ფილმი მოგვითხრობს იმაზე, თუ რა საფრთხეები არსებობს უცხო ქვეყნებში, რას უნდა მოერიდონ იქ ჩასული მიგრანტები, როგორია სიტუაცია დასაქმების მხრივ და რა უნდა გააკეთონ ქალბატონებმა ტრეფიკინგის საფრთხისგან თავის ასარიდებლად," — განაცხადა **მაკა ჩინჯიშვილმა.**

პროექტი — „ინდივიდუალური დახმარება ქართველ მიგრანტებს", ინიცირებულია სამოქალაქო განვითარების სააგენტოს „სიდას" მიერ ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით.

„ივლისის თვის დასაწყისში ჩვენ დავიწყეთ კამპანია „ქალი და მიგრაცია", რომლის ფარგლებშიც საქართველოს ხუთ რეგიონში ჩატარდა საინფორმაციო შეხვედრები მოსახლეობასთან როგორც რეგიონებში, ისე სოფლის დონეზე. პროექტის ფარგლებში ჩვენ გვყავს 50 ბენეფიციარი სოფელი. ჩვენი მიზანია ლეგალური მიგრაციის ხელშეწყობა და არალეგალური მიგრანტების ცოდნის დონის ამაღლება," — განაცხადა არასამთავრობო ორგანიზაცია „სიდას" იურისტმა **მაია პაქსაშვილმა**.

ფილმის დასრულების შემდეგ მოეწყო მიგრაციასთან დაკავშირებული დისკუსია, დამსწრე საზოგადოებას საშუალება მიეცა, ერთმანეთისთვის გაეზიარებინათ არალეგალური და, ზოგადად, მიგრაციის თემასთან დაკავშირებული რჩევები და პრობლემები.

პროექტი — „ინდივიდუალური დახმარება ქართველ მიგრანტებს" — 2015 წლის მარტში დასრულდება.

ჟანა ჯანელიძე

psnews.ge

კენეტ იალოვიცი:
„ნატო-ში საქართველოს გაწევრიანებას, როგორც ჩანს, ჯერ კიდევ დიდი დრო დასჭირდება“

საქართველოში შეერთებული შტატების ყოფილი ელჩის კენეტ იალოვიცის აზრით, „ნატო-ში საქართველოს გაწევრიანებას, როგორც ჩანს, ჯერ კიდევ დიდი დრო დასჭირდება.“ ამის შესახებ იალოვიცმა „ამერიკის ხმის“ ქართულ ბიუროსთან ინტერვიუში განაცხადა.

კენეტ იალოვიცი

„ვფიქრობ, საქართველოს დასავლეთისგანაც სჭირდება ნიშნის მიცემა, რომ ის სწორი მიმართულებით ვითარდება და მას მომავალში ბევრი კარგი რამ ელის. ნატო-ში გაწევრიანებას, როგორც ჩანს, ჯერ კიდევ დიდი დრო დასჭირდება. საქართველოს კარგად უნდა განუმარტონ გზამკვლევის საშუალებით, თუ რა უნდა გააკეთოს და დროის რა მონაკვეთში. ეს დასავლური კურსის განმტკიცებას შეუწყობდა ხელს,“ — განაცხადა კენეტ იალოვიცმა.

მისი თქმით, უელსის სამიტზე გადაწყვეტილება უმთავრესად ისევ ალიანსის წევრი ქვეყნების მხარდასაჭერად იქნა მიღებული და არა — უკრაინის; ხოლო კითხვაზე, შეიცვლება თუ არა ამერიკის პოლიტიკა უკრაინის, ან საქართველოს მიმართ შეერთებული შტატების სენატში „რესპუბლიკელთა“ გამარჯვების შემდეგ, იალოვიცი პასუხობს, რომ საგარეო პოლიტიკის 180-გრადუსიან შემოტრიალებას არ ელოდება. „აშკარაა, რომ კონგრესი მნიშვნელოვან როლს თამაშობს, თუმცა, ჩვენს სისტემაში საგარეო პოლიტიკის მთავარ მიმართულებას თეთრი სახლი განსაზღვრავს და შემდეგ სახელმწიფო დეპარტამენტი ახორციელებს. „რესპუბლიკელების“ მიერ კონტროლირებული სენატისგან მეტი ზეწოლა იქნება უკრაინისთვის თავდაცვითი შეიარაღების მიწოდებაზე და სავარაუდოდ, ეკონომიკური დახმარების გაზრდაზეც. თუმცა, არ ველოდები საგარეო პოლიტიკის 180-გრადუსიან შემოტრიალებას. ძალიან მეეჭვება, რომ ამერიკა უკრაინას ჯარებით დაეხმაროს, უკრაინა ხომ ნატო-ს წევრი ქვეყანა არ არის. უელსის სამიტზე გადაწყვეტილება უმთავრესად ალიანსის წევრი ქვეყნების მხარდასაჭერად და მათი სამხედრო ძალების გასაძლიერებლად იქნა მიღებული, მათ შორის ბალტიისპირეთის, პოლონეთის და სხვების. ეს რაც შეეხება ნატო-ს. შეერთებულ შტატებში კი განიხილება საკითხი, დავეხმაროთ თუ არა უკრაინას თავდაცვითი შეიარაღების მიწოდებით. ჯერჯერობით, ადმინისტრაცია ამისგან თავს იკავებს, რადგან რუსეთთან ურთიერთობის კიდევ უფრო გამწვავება არ სურთ და არ უნდათ, რომ ის რუსეთს და ამერიკას შორის კონფლიქტში გადაიზარდოს,“ — განაცხადა კენეტ იალოვიცმა და დასძინა, რომ „მთავარი განსხვავება იანვრიდან იქნება ის, რომ „რესპუბლიკელები“ თავდაცვითი შეიარაღების მიწოდების მხრივ ზეწოლას გააძლიერებენ.“

interpressnews.ge

სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია GeoCapital-ის 2013 წლის ფინანსური ანგარიშგება და გარეაუდიტორული დასკვნა

Grant Thornton

Independent auditor's report

To the participants of GeoCapital Microfinance Organization LLC

We have audited the accompanying financial statements of the GeoCapital Microfinance Organization LLC (the "Company"), which comprise the statement of financial position as of December 31, 2013, and the statement of profit or loss and other comprehensive income, statement of changes in equity and statement of cash flows for the year then ended, and a summary of significant accounting policies and other explanatory information.

Management's Responsibility for the Financial Statements

Management of the audited entity is responsible for the preparation and fair presentation of these financial statements in accordance with International Financial Reporting Standards, and for such internal control as management determines is necessary to enable the preparation of financial statements that are free from material misstatement, whether due to fraud or error.

Auditor's Responsibility

Our responsibility is to express an opinion on these financial statements based on our audit. We conducted our audit in accordance with International Standards on Auditing. Those standards require that we comply with ethical requirements and plan and perform the audit to obtain reasonable assurance about whether the financial statements are free from material misstatement.

An audit involves performing procedures to obtain audit evidence about the amounts and disclosures in the financial statements. The procedures selected depend on the auditor's judgment, including the assessment of the risks of material misstatement of the financial statements, whether due to fraud or error. In making those risk assessments, the auditor considers internal control relevant to the entity's preparation and fair presentation of the financial statements in order to design audit procedures that are appropriate in the circumstances, but not for the purpose of expressing an opinion on the effectiveness of the entity's internal control. An audit also includes evaluating the appropriateness of accounting policies used and the reasonableness of accounting estimates made by management, as well as evaluating the overall presentation of the financial statements.

We believe that the audit evidence we have obtained is sufficient and appropriate to provide a basis for our audit opinion.

Opinion

In our opinion, the financial statements give a true and fair view of the financial position of the GeoCapital Microfinance Organization LLC as at December 31, 2013, and of its financial performance and cash flows for the year then ended in accordance with International Financial Reporting Standards.

Grant Thornton LLC

Grant Thornton LLC
August 13, 2014

Statement of profit or loss and other comprehensive income

In Georgian lari	Notes	Year ended December 31, 2013	Year ended December 31, 2012
Interest and similar income	6	**2,842,281**	1,570,077
Interest and similar expense	6	**(1,261,539)**	(726,850)
Net interest income		**1,580,742**	843,227
Fee and commission income		**257,769**	269,132
Income/(loss) from foreign currency exchange operations		**89,001**	(1,150)
Other income		**80,328**	53,798
Impairment charge for credit losses	10	**(116,342)**	(22,069)
Staff costs		**(871,790)**	(566,446)
Depreciation of property and equipment	11	**(43,686)**	(22,937)
Amortization of intangible assets	12	**(12,961)**	(1,609)
Other expenses	7	**(453,036)**	(356,996)
Profit before income tax		**510,025**	194,950
Income tax expense	8	**(107,157)**	(32,559)
Profit for the year		**402,868**	162,391
Other comprehensive income		**-**	-
Total comprehensive income for the year		**402,868**	162,391

The accompanying notes on pages 7 to 39 are an integral part of these financial statements.

Statement of financial position

In Georgian lari	Notes	As of December 31, 2013	As of December 31, 2012
ASSETS			
Cash and cash equivalents	9	**382,385**	887,392
Loans and advances to customers	10	**7,525,116**	5,274,833
Property, plant and equipment	11	**214,080**	130,005
Intangible assets	12	**102,541**	16,938
Finance lease receivables	13	**15,539**	-
Other assets	14	**120,345**	142,386
TOTAL ASSETS		**8,360,006**	6,451,554
LIABILITIES AND EQUITY			
Liabilities			
Borrowings	15	**7,043,619**	5,642,284
Deferred income tax liabilities	8	**19,060**	18,172
Income tax payable		**90,775**	15,494
Accounts payable	16	**40,257**	12,177
Total liabilities		**7,193,711**	5,688,127
Equity			
Charter capital	17	**669,114**	669,114
Retained earnings		**497,181**	94,313
Total equity		**1,166,295**	763,427
TOTAL LIABILITIES AND EQUITY		**8,360,006**	6,451,554

The financial statements from pages 3 to 39 were signed by the Company's Director and Chief Accountant on August 13, 2014. The accompanying notes on pages 7 to 39 are an integral part of these financial statements.

Irma Svanadze
Director

Rezo Gabadadze
Chief Accountant

კვირის ჰოროსკოპი

ვერძი: ეს კვირა არ იქნება მდიდარი მოვლენებით. პირველ პლანზე წამოიწევს პირადი ცხოვრება. თქვენ სერიოზულად დაგეგმავთ ცვლილებებს ოჯახში.

კურო: თქვენი შეხედულებები ზოგიერთ საკითხებზე ძალზედ უცნაურია, კარგად დაფიქრდით, ვიდრე პოლემიკაში ჩაებმებით. შეეცადეთ, არ ჩაერიოთ კამათში და არც თვითონ წამოიწყოთ იგი. თუ დაოჯახებული ბრძანდებით, სწორედ ახლა შესძლებთ პარტნიორთან აქამდე დაძაბული ურთიერთობების გარკვევას.

ტყუპები: თამამად შეგიძლიათ გრანდიოზული გეგმების განხორციელებაზე იფიქროთ, ნებისმიერი საკითხის მოგვარებას შეძლებთ. თქვენ თუ არაფერი გაწუხებთ, მაშინ ახლობლებს დაეხმარეთ.

კირჩხიბი: ნუ დაკარგავთ დროს ურთიერთობების გარკვევაზე. ეცადეთ, იყოთ დამთმობი, სიჯიუტემ შეიძლება, საყვარელი ადამიანი დაგაკარგვინოთ. კარგი იქნება, თუ მეგობრებთან სტუმრობისთვის გამონახავთ დროს.

ლომი: სრულიად შესაძლებელია, რომ ეს კვირა დაიწყება კონფლიქტით. სიცრუე და არაპირდაპირობა არ გიშველით – ამით მხოლოდ მეტად ავნებთ საკუთარ თავს. შეამოწმეთ იმ პრეპარატების ვარგისიანობის ვადა, რომლების გამოყენებასაც აპირებთ, არ გადააჭარბოთ დოზა.

ქალწული: საინტერესო, ძლიერ ადამიანთან შეხვედრა გელით, რომელიც თქვენს პირად ცხოვრებაში ცვლილებებს შეიტანს. ნუ იქნებით ინერტული, იაქტიურეთ სასურველი მიზნის მისაღწევად.

სასწორი: ნუ იქნებით ზედმეტად თვითდაჯერებული, ნუ ფიქრობთ, რომ თქვენ ყველაფერი იცით. დაფიქრდით საკუთარ ქცევაზე და შეეცადეთ უკეთესისკენ შეიცვალოთ, ამით ბევრს მოიგებთ. თქვენი ზოდიაქოსთვის დამახასიათებელი, ორგანიზატორული ნიჭი, დიდ სამსახურს გაგიწევთ, თუმცა ვერ ვიტყვით, რომ ეს ადვილი საქმე იქნება.

მორიელი: გეძლევათ შესაძლებლობა, შეცვალოთ არა მხოლოდ თქვენი, არამედ ახლობელი ადამიანების ბედიც. საკმაოდ პოზიტიური დღეებია ყველანაირი წამოწყებისთვის.

მშვილდოსანი: ოჯახის წევრებს შორის მომრიგებლის როლს მშვენივრად ართმევთ თავს. თუმცა, ამან თქვენი პირადი გეგმები შეიძლება, შეცვალოს კიდეც.

თხის რქა: გაუფრთხილდით ჯანმრთელობას. ეცადეთ, ისეთ რეჟიმში იმუშაოთ, რომ არ გადაიღალოთ. დრო საყვარელ ადამიანს დაუთმეთ. უარს ნუ იტყვით რომანტიკულ თავგადასავლებზე.

მერწყული: იყავით ყურადღებით, რომ დროულად შეამჩნიოთ საფრთხე და დროულად აირიდოთ თავიდან. ნუ უგულვებელყოფთ ახლობელი ადამიანების რჩევებს.

თევზები: მუშაობა დაგელოდებათ, უმჯობესია დაისვენოთ და ძალები მოიკრიბოთ.

მკითხველის შემოქმედება

***

რუსთაველი ხომ გაყვარებდა ზეხორციელად,
საბა-სულხანი ხომ იღწვოდა იბერიელად,
ცა და მიწა ხომ დაგვიტოვა ალიგიერად,
დაო დეძინი მიიცვალა ხომ ჩუმიერად.

ვაჟა-ფშაველაც გაჰყიოდა სულშფოთიერად,
გალაკტიონი გაილექსა გულსევდიერად,
აკაკი აჰყვა და გალობდა პირმშვენიერად,
ილია დუმდა და იქმოდა მართლზომიერად.

როდემდე ვჭვრიტო შავი და თეთრი თვალსაწიერად.
როდემდე ვზიდო ავი და კარგი ჩემ-სხვისიერად,
როდემდე ვშვა და მოვაკვდინო სამსახიერად,
როდემდე ვთვალო დღე და ღამე ამჟამიერად.

უმალ გასხივდა და განათდა ცა, მზისიერად.
მე შევიცანი ეს სამყაროო ჩემ-შენიერად,
უფალო ღმერთო! რატომ მიცან მე შენიერად,
თუკი ცოდვილად მაღიარებ ამწამიერად.

იქნებ სწორია, გადახანო, თანაც ფხვიერად.
იქნებ ბაღებიც მივარწყულოთ! საწამლიერად,
იქნებ თავებიც შევუშვიროთ ქვას! ხამიერად,
იქნებ მოსულა არმაგედონი?! წყალ-ცეცხლიერად.

რად გავვლე ათასწლეული? რად შევისწავლე ცანიო.
დედა-ენა და ჩვენანი მე ხომ ქართულად ვცანიო,
ჩემი თუ არ მაქვს, დასწყევლოს! დუშმანის ყველა
ქნარიო,
მოყვასის წესის მოძულეს ხამს დაუბნელდეს
თვალნიო.

P.S.

რად გაასხვისე წალკოტი?! რას ეძებ, სხვის
მთა-ბარშიო,
შვიდი სამთავროც გათელე „მოსვლამდე“
შემოვლაშიო,
წინაპართ სული წაწყმიდე! უცხოთა წესის
ცვლაშიო,
დედ-მამის მაგინებელი, როგორ ბრუნდები
სახლშიო.

ჭლექიანი

56 წლის თბილისელმა ქალბატონმა პირველი შვილი გააჩინა

დედობა ნებისმიერ დროს საპატივცემულო მოვლენაა. საქართველოში ყველაზე ხანდაზმულ ასაკში თბილისელი ქალბატონი გახდა დედა. მან პირველი შვილი 56 წლის ასაკში გააჩინა.

თბილისის პირველ სამშობიაროში 56 წლის ქალმა იმშობიარა; მან გოგონა გააჩინა. დედისთვის ბარბარე პირველი შვილია. დედა-შვილი სამედიცინო დაწესებულებაში რჩება და მათ სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

თბილისის პირველი სამშობიაროს ახლის გენერალური დირექტორის, ზაზა ავალიანის განცხადებით, ეს არის უნიკალური შემთხვევა და ეს არის რეკორდი დედის ხანდაზმულობის მხრივ სათქართველოში. საქართველოში პირველი პრეცედენტია, როდესაც 50 წელს გადაცილებული ქალი შვილს აჩენს.

მოამზადა
მარიამ ლეშკაშელმა

უფასო განცხადებები

იყიდება

- 50 m^2 არასტანდარტული ერთოთახიანი ბინა (34 m^2 ოთახი+16m^2 სამზარეულო-სააბაზანო), ქუთაისის ცენტრში, საუკეთესო ხედით, სარემონტო. ფასი შეთანხმებით.

ტელ.: **(0 431) 24 40 66**

- იყიდება სამოსახლო ეზო ქუთაისში, ტყიბულის ქუჩაზე. 500 კვადრატული მეტრი. ფასი შეთანხმებით.
ტელ.: **599 41 27 49; 25 38 17**



შეადგინა ალეკო ნემსაძემ

როგორ განვათავსოთ განცხადება გაზეთ „P.S.“-ში („პოსტსკრიპტუმში“)

უფასოდ

ქვემოთ მოცემულ კუპონზე

განცხადებების მიღება ხდება კერძო პირებიდან

დაბეჭდვის თარიღი დამოკიდებულია კუპონის მიწოდების თანმიმდევრობაზე

კუპონი უნდა ჩაბარდეს
რედაქციაში - ქ. ქუთაისი, რუსთაველის ქუჩა 37ა;
სავაჭრო ცენტრ „ფუდმარტში“(ყოფილი „პოპული“) - წიგნების მაღაზია „ქიმერიონი“, რუსთაველის 141.

არ მიიღება კანონთან შეუსაბამო, შეურაცხმყოფელი, უხამსი, ეროტიკული შინაარსის განცხადებები.

განცხადების ღირებულება შედის გაზეთის ფასში

მცირე განცხადების კუპონი

აღნიშნე კატეგორია

უძრავი ქონება
☐ გავყიდი
☐ ვიყიდი
☐ გავაქირავებ

ავტო-მოტო
☐ ვიყიდი
☐ გავყიდი

სამსახური
☐ ვეძებ სამუშაოს

სხვადასხვა
☐ ვიყიდი
☐ გავყიდი
☐ სხვა

☐ ცხოველები

განცხადების შინაარსი

ტელ: >>

სახელი და გვარი (მხოლოდ რედაქციის ცნობისათვის)

კონტაქტი (მობილური ან სტაციონალური)

ელექტრონული ფოსტის მისამართი

☐ **არ ვარ განცხადების შინაარსთან დაკავშირებული კერძო მეწარმე**

☐ ვაცხადებ თანხმობას, ფირმის მიერ გამოყენებულ იქნას განცხადებაში აღნიშნული მონაცემები

ხელმოწერა გარკვევით

რედაქციას აქვს უფლება, კუპონზე შევსებული ერთჯერადი განცხადება დაბეჭდოს კუპონის ჩაბარების დღიდან 14 დღის განმავლობაში კუპონი (ერთჯერადი) არის ძალაში მისი გამოქვეყნების დღიდან 3 კვირის განმავლობაში.

24.11.2014

ვინ არის ფოტოზე?

პასუხი წინა ნომრის ფოტო-ვიქტორინაზე

მსახიობი **გიორგი ყიფშიძე** ჩვენმა ერთგულმა მკითხველმა, **სულიკო ფუტკარაძემ** ამოიცნო.

რას დაარქმევდით?

ემზარ კვიციანი

დაგვიკავშირდით:

- **(0 431) 24-45-46, 24-82-25.**
- **psnews27@gmail.com**

პასუხი წინა ნომრის ფოტო-ვიქტორინაზე

თამარ ბერუჩაშვილი

„გზაგასაყარიდან მობრუნებული.“

შაქრო გაბელაშვილი

კროსვორდი

ჰორიზონტალურად: 3. ზამთრის თვე; 5. პირველი მითიური მამაკაცი; 6. გიგანტური გომბეშო; 8. ძვ. ჩინელი ფილოსოფოსი ... ძი; 9. ფილმის ცალკეული სურათი; 11. პერიკლეს მეორე ცოლი.

ვერტიკალურად: 1. ძეხვეულის ქართული ფირმა; 2. ... ძე დუნი; 3. აშშ-ს შტატი; 4. ნუმიდიელი მეფე, დაატყვევა სულამ; 7. მზიდან მეოთხე პლანეტა; 10. თვალის ქვემო ნაწილი.



წინა ნომრის კროსვორდის პასუხები

ჰორიზონტალურად:
3. პლუტონი; 5. მაგია; 6. უმა; 8. გეა; 9. კალია; 11. არიზონა.

ვერტიკალურად:
1. გურია; 2. მოა; 3. პლანეტა; 4. იამაიკა; 7. ბარონ; 10. სია.

რა ხდება „სტალინის ციხეში“

„გუბერსკი-ხელოვნება ჩაკეტილ სივრცეში“ — გამოფენა ქუთაისის ყოფილ ციხეში

ქუთაისის გუბერნიის ყოფილ ციხეში, საერთაშორისო სახელოვნებო პროექტის „გუბერსკი-ხელოვნება ჩაკეტილ სივრცეში“ გამოფენა გაიმართა.

ქუთაისის გუბერნიის ყოფილი ციხე, რომელიც მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრიდან ფუნქციონირებდა, 2005 წლიდან დაკეტილია.

ყოფილი ციხის კედლები ქართველ და უცხოელ ხელოვანთა ნამუშევრებით გაცოცხლდა. მხატვრებმა უკვე ნახევრად დანგრეული ოთახები სხვადასხვა ნახატებითა თუ ქანდაკებებით შეამკეს.

„2010 წელს, როდესაც პირველად მოვხვდი გუბერსკის ტერიტორიაზე, ბერლინში ინსტალაცია გავაკეთეთ საკნების კარებებით. მაშინ დამებადა იდეა, რომ იქ ქართული კარებიც ჩაგვეტანა. გავიგე, რომ ქუთაისში 2005 წელს დაკეტეს ციხე და შესაძლებელი იყო იქ რამე გაგვეკეთებინა. როცა ვნახე ეს ადგილი, ძალიან დავინტერესდი, აღფრთოვანებას ვერ ვმალავდი, თუმცა საკმაოდ იყო ჩამონგრეული და დიდი ძალისხმევა დაგვჭირდა აქაურობის მოსაწესრიგებლად. აშკარააა, რომ ეს შრომა ღირდა. ეს ადგილი იქნება თანამედროვე ალტერნატიული ხელოვნების ცენტრი, აქვე იცხოვრებენ ხელოვანები, შეიქმნება საგამოფენო სივრცე... 4 წლის წინ მზადება დავიწყეთ ამ ადგილის მოსაწესრიგებლად, თებერვლიდან კი აქტიურად შევუდექით გამოფენისთვის მზადებას. ხელოვნება ჩაკეტილ სივრცეში მოიცავს ყველაფერს, რაც მნიშვნელოვანია. ვაჩვენებთ, როგორი იყო ციხე ისტორიის სხვადასხვა ეტაპებზე. ვეცდებით, გავაცოცხლოდ პატიმართა პირობები მათი პრობლემებით, პრივილეგიებით და ა.შ.“ — განაცხადა გამოფენის ორგანიზატორმა, მხატვარმა **გოჩა გულელაურმა.**

გამოფენაში ქართველ ხელოვანებთან ერთად 6 ქვეყნის ხელოვანები მონაწილეობდნენ.

ორგანიზატორების განცხადებით, გამოფენა „გუბნერსკი-ხელოვნება ჩაკეტილ სივრცეში“ 30 ნოემბერს გრანდიოზული ცერემონიით დაიხურება.

ჟანა ჯანელიძე
psnews.ge

წიგნების მაღაზია ქიმერიონი
qimerioni.ge

ყოველგვარი ფასნამატის გარეშე შეიძინეთ:

- ქართული თუ უცხოური ლიტერატურა;
- კლასიკოსი და თანამედროვე მწერლების ნაწარმოებები;
- მაღალპოლიგრაფიულ დონეზე გამოცემული საბავშვო შემეცნებითი და გასართობი წიგნები;
- სამეცნიერო ხასიათის გამოცემები;
- ენციკლოპედიები;
- ლექსიკონები;
- ჟურნალ-გაზეთები

წიგნები შენ გელოდება!

ქუთაისი, ჭავჭავაძის 50ა (ჭავჭავაძის უნივერმაღი),
წიგნების მაღაზია „ქიმერიონი“.
ტელეფონი: 790 927 927; (0 431) 274 474

პრესკონფერენციები,
ბრიფინგები, პრეზენტაციები
PSPRESS-კლუბი



ქუთაისი, რუსთაველის 37ა (პრესის სახლი). 599 10 77 94